ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

(სიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:

მარიამ იაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219634705

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ტყიბული
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N14
საფოსტო ინდექსი	4300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tkibuli7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 7 26 0000495187, 28.04.2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის MES MES 7 26 0000495187 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები, ამასთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და სკოლის მიერ მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ,,დ“ ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
120	111

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ 2026 წლის 27 მაისის MES 7 26 0000627216 წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია (სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დირექტორის 2026 წლის 21 მაისის ბრძანება ექსკურსიის შესახებ, მოსწავლეთა თვითმმართველობის 2026 წლის 20 მარტის სხდომის ოქმი, სკოლის დირექტორის 2026 წლის 21 მაისის ბრძანება კვების ბიექტის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, ბიზნესოპერატორის (მოიჯარე) სახელზე გაცემული ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მასალები, თუმცა მიიჩნევს, რომ არგუმენტირებული პოზიცია არ უნდა იქნას გაზიარებული შემდეგი გარემოებების გამო:

წარმოდგენილი მტკიცებულებები (დირექტორის ბრძანება და თვითმმართველობის ოქმი) ადასტურებს მხოლოდ ერთეული, იზოლირებული ღონისძიების (ექსკურსიის და მოსწავლეთა ინიციატივის განხილვის) ორგანიზების ფაქტს. ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების თანახმად, არაფორმალური განათლება, დამატებითი წრეებისა და კლუბების საქმიანობა, ისევე როგორც მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა, უნდა ატარებდეს სისტემურ, მდგრად და უწყვეტ ხასიათს და არა ერთჯერად სახეს. ცალკეული, ეპიზოდური მაგალითები არ არის საკმარისი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად რეალურად და ფუნქციურად მუშაობს სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მექანიზმები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კლუბებისა და წრეების ფუნქციონირების ამსახველი სისტემური მტკიცებულებები (მაგ: მუშაობის გეგმები, პერიოდული ანგარიშები, მოსწავლეთა ნამუშევრები/პროდუქტები, აქტივობების ფართო სპექტრი).

შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი რჩება ძალაში და წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სასკოლო კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ სამართლებრივი აქტის (ბრძანების) არსებობა წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ-ადმინისტრაციულ წინაპირობას და იგი თავისთავად ვერ ადასტურებს სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნების რეალურად შესრულების ფაქტს. სკოლის მიერ არ არის წარმოდგენილი კვების ობიექტის მონიტორინგის უშუალო განხორციელების ამსახველი არცერთი პრაქტიკული მტკიცებულება (მაგ: მონიტორინგის ოქმები, პერიოდული შემოწმების აქტები, ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნები ან რეკომენდაციები). მხოლოდ ბრძანების არსებობა ვერ უზრუნველყოფს კვების ობიექტზე სისტემური კონტროლის დადასტურებას.

სკოლის მითითება იმის შესახებ, რომ პროდუქტი მზადდება საჯარო რეესტრით გათვალისწინებულ სხვა მისამართზე (ტყიბული, აკ. წერეთლის ქ. N19) და დაწესებულებაში (ტყიბული, ბრეგვაძის ქ. N14) მიეწოდებათ მზა სახით, არ ათავისუფლებს მოიჯარეს და მით უმეტეს თავად სკოლას ვალდებულებებისგან. მოქმედი კანონმდებლობით, სკოლაში კვების პროდუქტების უსაფრთხოების ჯეროვანი უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს მკაცრი ზედამხედველობა. მოიჯარეს (ბიზნესოპერატორს) ეკისრება იმპერატიული ვალდებულება, სკოლას წარუდგინოს სსიპ — სურსათის ეროვნული სააგენტოს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) მიერ კვების პროდუქტების მომზადების ობიექტზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს უალტერნატივო სამართლებრივ გარანტს იმისა, რომ კვების პროდუქტების მომზადების პროცესი შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს. სკოლა, როგორც პროცესის საბოლოო ბენეფიციარი და მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი სუბიექტი, ვალდებულია მოითხოვოს და გადაამოწმოს ეს დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი რჩება ძალაში და წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N4.2.1.5.	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას*	*მიუხედავად დოკუმენტურად გამართული ბაზისა, საქმის მასალებით არ დასტურდება სკოლის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული მექანიზმების რეალური ფუნქციონირება. თავად დაწესებულებაც ადასტურებს, რომ სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი/არაფორმალური წრეებისა და კლუბების საქმიანობა. რეალური პრაქტიკის არარსებობის გამო, ვერ დასტურდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობა (მენტორობა/ფასილიტაცია) ამ პროცესში.* *აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნის შესრულებას. (იხ.ინდიკატორის აღწერა)*
ინდიკატორი N4.2.4.1.	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან*	*სკოლა კვების სერვისს ახორციელებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“-ს დარღვევით, კერძოდ , სკოლას არ წარმოუდგენია:* ➢ *ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან იჯარით აღებული ფართის მისამართზე, მოიჯარის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მითითებით;*

	საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	➢ *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სუჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კვების ობიექტზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები.* ➢ *კვების ობიექტის საქმიანობის შიდა მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება და განხორციელებული მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტები.*
ინდიკატორი N4.2.4.3.	*შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს*	*ვინაიდან სკოლაში კვების ობიექტი ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები"-ს დარღვევით. არსებობს მომეტებული რისკი უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დარღვევის.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.1.2.3.	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მხოლოდ ინფორმაციის პასიური განთავსება (ვებგვერდზე დოკუმენტების ატვირთვა) არ არის საკმარისი სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირებულობისთვის, სასურველია სკოლამ დანერგოს უკუკავშირის სისტემური მექანიზმი, რაც გულისხმობს:* ➢ *მშობელთა და მოსწავლეთა პერიოდული გამოკითხვების ჩატარებას, შიდა პოლიტიკისა და სერვისების ეფექტურობის შესაფასებლად;*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		➢ *გამოკითხვის შედეგების საჯაროდ გაზიარებას - თუ როგორ აისახა მიღებული უკუკავშირი სკოლის განვითარებაზე. ეს გაზრდის ნდობას და აქცევს სასკოლო საზოგადოებას მართვის მონაწილედ.* ➢ *ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფორმატების გამრავალფეროვნებას. ინდიკატორის მოთხოვნა - ,,ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია" - უნდა განიმარტოს არა მხოლოდ ფიზიკური ხელმისაწვდომობით, არამედ აღქმადობითაც: სასურველია რთული იურიდიული ენით დაწერილი შინაგანაწესის და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტების პარალელურად შეიქმნას მათი მოკლე, ვიზუალიზებული გზამკვლევი (მაგ. ,,გზამკვლევი მოსწავლეებისთვის", ინფოგრაფიკები), რაც გაამარტივებს მათ პრაქტიკულ გამოყენებას.* *ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რჩევების იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს სკოლაში ინფორმაციული გამჭვირვალობისა და გაზიარების კულტურის დამკვიდრებას.*
ინდიკატორი N 4.2.1.3.	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*სკოლას მიეცა რჩევა კიდევ უფრო დახვეწოს მოსწავლეთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის არსებული მექანიზმი. მიზანშეწონილია აღნიშნული მექანიზი მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:* ➢ *აკადემიური შედეგების მონიტორინგი და დინამიკის ანალიზი;* ➢ *დამატებითი კონსულტაციებისა და განმავითარებელი აქტივობების ინტენსივობის გაზრდა;* ➢ *კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის და მშობლის კოორდინირებული თანამშრომლობა;*

		➢ *განხორციელებული მხარადჭერის ღონიძიებების პერიოდული შეფასება/რევიზია.*
ინდიკატორი N 4.2.1.4.	*სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით*	*სასურველია სკოლამ შექმნას მცირე ზომის,, მოსწავლის გზამკვლევი", სადაც მარტივი ენით იქნება განმარტებული მათი უფლებები, მოვალეობები და გასაჩივრების მექანიზმები. ამასთან აღსანიშნავია, რომ მხარდაჭერა არ არის მხოლოდ დოკუმენტების გადაცემა, სასურველია სემესტრში ერთხელ ჩატარდეს კმაყოფილების კვლევა (მაგ: Google Forms- ით) რათა დადგინდეს რამდენად ინფორმირებულები არიან მოსწავლეები თავიანთი უფლებების შესახებ.* *მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყოს, რომ მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გასცდეს ფორმალურ საქმისწარმოებას და გარდაიქმნას ქმედით მექანიზმად, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გადაჭრაზე.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (IV სტანდარტი)

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს. მასში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას.
სკოლამ წარმოადგინა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი

დოკუმენტები, მათ შორის სკოლის შინაგანაწესი. წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმის მიხედვით, კლასის დამრიგებელმა, სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა სკოლის შინაგანაწესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ სხდომის ოქმი N 3 07.09.2020 წ) ;
2. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3;
4. მშობელთა კრების ოქმი N1;
5. სკოლის ვებ/გვერდი: https://skolebi.emis.ge
6. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-91 მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტები/ბრძანებები) ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკაში ჯეროვნად ახორციელებს შიდა რეგულაციებითა და კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ინფორაცია სასწავლო პროგრამების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ციფრული რესურსებისა, სკოლა იყენებს კომუნიკაციის პირდაპირ

ფორმებსაც: საინფორმაციო შეხვედრებსა და მშობელთა კრებებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ოქმებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინფორმირებულობას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ფორმალურად აკმაყოფილებს ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნას ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებით, ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით სასურველია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

ინფორმაციის პროაქტიული მიწოდება და უკუკავშირის ციკლი

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მხოლოდ ინფორმაციის პასიური განთავსება (ვებგვერდზე დოკუმენტების ატვირთვა) არ არის საკმარისი საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირებულობისთვის, სასურველია სკოლამ დანერგოს უკუკავშირის სისტემური მექანიზმი, რაც გულისხმობს:

- მშობელთა და მოსწავლეთა პერიოდული გამოკითხვების ჩატარებას, შიდა პოლიტიკისა და სერვისების ეფექტურობის შესაფასებლად;
- გამოკითხვის შედეგების საჯაროდ გაზიარებას - თუ როგორ აისახა მიღებული უკუკავშირი სკოლის განვითარებაზე. ეს გაზრდის ნდობას და აქცევს სასკოლო საზოგადოებას მართვის მონაწილედ.
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფორმარატების გამრავალფეროვნებას. ინდიკატორის მოთხოვნა - ,,ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია“ - უნდა განიმარტოს არა მხოლოდ ფიზიკური ხელმისაწვდომობით, არამედ აღქმადობითაც: სასურველია რთული იურიდიული ენით დაწერილი შინაგანაწესის და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტების პარალელურად შეიქმნას მათი მოკლე, ვიზუალიზებული გზამკვლევი (მაგ. ,,გზამკვლევი მოსწავლეებისთვის“, ინფოგრაფიკები), რაც გაამარტივებს მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რჩევების იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს სკოლაში ინფორმაციული გამჭვირვალობისა და გაზიარების კულტურის დამკვიდრებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში მიმიდნარე პროცესების შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია სკოლის Facebook გვერდზეც. სკოლის მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-97 სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-54 სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
3. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-05 სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
4. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-08 2023 წლის 27 ივნისის N2-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
5. საქმისმწარმოებლის სამსახურებრივი ბარათი;
6. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-16 მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ;
7. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-70 მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;
8. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-101 განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-100 06.09.2023წ.), რომლის თანახმადაც - სკოლა დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას და გაადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს სხვადასხვა ტიპის ბარიერის არსებობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის ადაპტაციის წესში გაწერილია მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესის თანმიმდევრულად წარმართვას. ამ პროცესში ჩართულია როგორც ადმინისტრაცია, ისე მასწავლებლები და მოსწავლის მშობლები, რათა სრულად იყოს გათვალსიწინებული მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლში მოქმედებს რემედიაციის (აკადემიური მხარდაჭერის) პროგრამა. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი დახმარება სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად. სკოლა, მშობელთან შეთანხმების საფუძველზე, ადგენს ინდივიდუალური რემედიაციის გეგმას და უზრუნველყოფს მოსწავლესთან მიზნობრივ მუშაობას.
სკოლამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სამსახურეობრივი ბარათი, რომელიც ასაბუთებს მოსწავლის აკადემიური უნარების გაუმჯობესების საჭიროებას. ასევე, წარმოდგენილია მშობლის წერილობითი თანხმობა რემედიაციის პროგრამაში მოსწავლის ჩართულობის თაობაზე და რემედიაციის გეგმა.
სკოლას მიეცა რჩევა კიდევ უფრო დახვეწოს მოსწავლეთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის არსებული მექანიზმი. მიზანშეწონილია აღნიშნული მექანიზი მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- აკადემიური შედეგების მონიტორინგი და დინამიკის ანალიზი;
- დამატებითი კონსულტაციებისა და განმავითარებელი აქტივობების ინტენსივობის გაზრდა;
- კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის და მშობლის კოორდინირებული თანამშრომლობა;
- განხორციელებული მხარადჭერის ღონიძიებების პერიოდული შეფასება/რევიზია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ახორციელებს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარადაჭერას, რაც ორიენტირებულია მათი უფლებებისა და ინტერესების ეფექტიან დაცვასა და რეალიზებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (მშობელთა კრების ოქმი), დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის დამრიგებელი მშობლებს აცნობს სასკოლო

სასწავლო გეგმას და სკოლის შინაგანაწესს. ამასთანავე სკოლის, ვებ გვერდზე განთავსებულია მარეგულირებელი ძირითადი დოუმენტები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას.

სასურველია სკოლამ შექმნას მცირე ზომის,, მოსწავლის გზამკვლევი" , სადაც მარტივი ენით იქნება განმარტებული მათი უფლებები, მოვალეობები და გასაჩივრების მექანიზმები. ამასთან აღსანიშნავია, რომ მხარდაჭერა არ არის მხოლოდ დოკუმენტების გადაცემა, სასურველია სემესტრში ერთხელ ჩატარდეს კმაყოფილების კვლევა (მაგ: Google Forms- ით) რათა დადგინდეს რამდენად ინფორმირებულები არიან მოსწავლეები თავიანთი უფლებების შესახებ.

მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყოს, რომ მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გასცდეს ფორმალურ საქმისწარმოებას და გარდაიქმნას ქმედით მექანიზმად, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გადაჭრაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

მონიტორინგის პროცესში სკოლამ წარმოადგინა,, მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი", რომლის თანახმადაც:

- მოსწავლეს/მოსწავლეთა ჯგუფს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით წერილობით ან ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა;
- მოსწავლეს/ მოსწავლეთა ჯგუფს უფლება აქვს ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას, კლასის დამრიგებელს, დირექციას და ჩაერთოს მის განხილვაში;
- მოსწავლეთა თვითმმართველობა, კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის/მოსწავლეთა ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლის დირექციას;
- სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებლივი აქტის საფუძველზე მოსწავლის/მოსწავლეთა ჯგუფის ინიციატივების მხარდასაჭერად შესაძლებელია შეიქმნას მოსწავლეთა ინიციატივების განხილვისა და განხორციელების მხარდამჭერი ჯგუფი;

ინდიკატორის მოთხოვნის თანახმად, სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.

აღნიშნული გულისხმობს, რომ მასწავლებლები არაფორმალურ პროცესში უნდა ასრულებდნენ ფასილიტატორებისა და მენტორების როლს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტურად გამართული ბაზა, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ეს მექანიზმები რეალურად ფუნქციონირებს. ამასთანავე, თავად დაწესებულებაც ადასტურებს, რომ სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების, წრეებისა და კლუბების საქმიანობა. თანამედროვე განათლების პარადიგმაში არაფორმალური განათლება არ წარმოადგენს „დამატებით ფუფუნებას"; იგი მოსწავლის 21-ე საუკუნის კომპეტენციების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია და სხვ.) განვითარების ძირითადი ინსტრუმენტია. სწორედ ეს აქტივობები უზრუნველყოფს ფორმალური განათლების მიღმა მოსწავლეთა უნარების განვითარებას, კრეატიულობის სტიმულირებასა და პიროვნული ზრდის ხელშეწყობას. აღნიშნული კომპონენტის არარსებობა ნიშნავს, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის რეალური პრაქტიკის არარსებობა ნეგატიურად აისახება სასკოლო კულტურაზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის ინდიკატორით დადგენილ მოთხოვნას, ვინაიდან დოკუმენტურად გაწერილი მექანიზმები მხოლოდ დეკლარირებულ დონეზე არსებობს და მათი პრაქტიკული განხორციელება არ დასტურდება.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან და მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-100 მოსწავლეთა ადაპტაციასს წესის დამტკიცების შესახებ;
2. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-115 მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
3. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-07 რემედიაციის წესის დამტკიცების შესახებ;
4. მშობლის თანხმობა რემედიაციასთან დაკავშირებით;
5. რემედიაციის გეგმა;
6. დიაგნოსტიკური ტესტი;
7. სამსახურეობრივი ბარათი;
8. მშობელთა კრების ოქმი;
9. სკოლის ვებგვერდი
10. სკოლის დირექტორის წერილი არაფორმალური განათლების (კლუბები, წრეები) არ განოხრციელებაზე.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი — „სსიპ ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, რომლის საფუძველზეც დაწესებულება იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი გეგმავს შესაბამის აქტივობებს.
კარიერის დაგეგმვის პროცესში სკოლა კონსულტირებას უწევს მოსწავლეებს და აქტიურად უჭერს მათ მხარს. აღნიშნული მიმართულებით დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა სასკოლო

პროექტი „ვიცნობ პროფესიებს — ვგეგმავ მომავალს“. სხვადასხვა პროფესიის გაცნობის მიზნით, სკოლის მიერ ორგანიზდა გასვლითი აქტივობა „საქნახშირში“, ასევე დაწესებულებაში გაიმართა საინფორმაციო პრეზენტაცია კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შესახებ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების მიზნით, სკოლაში განხორციელდა პროექტი „ვიცნობ პროფესიებს — ვგეგმავ მომავალს“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეწვივნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის ფილიალს. სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკის უკეთ გაცნობის მიზნით, ასევე მოეწყო სასწავლო ვიზიტი კომპანია „საქნახშირში“. გარდა ამისა, სკოლამ უმასპინძლა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლებს, რომლებმაც მოსწავლეებს საინფორმაციო შეხვედრა ჩაუტარეს.

აღსანიშნავია, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას და განხორციელებული აქტივობების შესახებ მასალებს ოფიციალური სოციალური ქსელის (Facebook) გვერდის მეშვეობით აქტიურად აზიარებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესის მიხედვით, სკოლა იკვლევს და ითვალისწინებს მოსწავლეების განვითარების დონესა და ინტერესებს.

სკოლაში განხორციელებული პროექტი „ვიცნობ პროფესიებს - ვგეგმავ მომავალს“, მოიცავს მონიტორინგისა და რეფლექსიის კომპონენტებსაც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ხარისხის გაუმჯობესების პროცესს გეგმავს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქ. ტყიბულის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-93 პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ;
2. პროექტი „ვიცნობ პროფესიებს - ვგეგმავ მომავალს“;
3. სკოლის Facebook გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100076337381929

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა:

- სსსმ მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულება, რაც მოიცავს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის აუცილებელს პროცესს და პასუხისმგებელი პირების ვალდებულებებს.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ვადები და მასზე პასუხისმგებელი პირები. პროცესში ჩართულები არიან: ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია.

სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი და მუშაობის ეფექტურობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმაში გაწერილი აქტივობები ითვალისწინებს როგორც ადმინისტრაციის მხრიდან შესასრულებელ საქმიანობებს, ისე პედაგოგიური საბჭოს ჩართულობას. ისგ ჯგუფის ოქმი ადასტურებს, რომ პროცესში ჩართულია როგორც სსსმ მოსწავლის ყველა მასწავლებელი, ისე მისი კანონიერი წარმომადგენელი/მშობელი.

სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის მიხედვით, შეფასება ეფუძნება ადმინისტრაციასთან, მოწავლის მშობელთან, მასწავლებლებთან და სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებას. დასკვნის მიხედვით, ინკლუზიური განათლება ხორციელდება ეფექტიანად და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბძანება N2-95 სსსმ მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ;
2. სსიპ ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბძანება N2-47 სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

3. სსიპ ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბძანება N2-43 სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ:
4. ისგ ჯგუფის ოქმი N2;
5. მოსწავლის ისგ (მათემატიკა);
6. სსიპ ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა, დამატებითი არასავლდებულო მომსახურების ფარგლებში, მოსწავლეებს სთავაზობს კვების სერვისს. წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია საიჯარო ფართის დანიშნულება და მხარეთა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2027 წლის 15 იანვრამდე პერიოდი.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებულია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები “, ხსენებული დოკუმენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:
საკვებით მომსახურებისთვის ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია სკოლას წარუდგინოს:

ა) ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან იჯარით აღებული ფართის მისამართზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მითითებით;
ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები
აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

- ,,ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს სკოლაში საკვებით მომსახურებას, კვების ობიექტზე საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის განმავლობაში ვალდებულია უზრუნველყოს სააგენტოს მოწვევა ინსპექტირების განსახორციელებლად და იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მიერ გაიცა მითითებები, სააგენტოს ინსპექტირების აქტით განსაზღვრულ ვადებში ასრულებს მათ;
- სკოლის კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით სკოლა ვალდებულია შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ საბაზო და/ან საშუალოსაფეხურის მოსწავლეები, სკოლის მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები (სასურველია ბიოლოგიის), სკოლის ექიმი/ექთანი, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლა უფლებამოსილია მონიტორინგის ჯგუფში ჩართვა სთხოვოს მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრისა და მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის წარმომადგენლებს.”

სკოლას აღნიშნული დოკუმენტები არ წარმოუდგენია.
წარმოდგენილია, მხოლოდ სკოლის ექთნის მიერ 2025 წლის განმავლობაში, კვების ობიექტის შემოწმების მასალები, რაც არ არის საკმარისი მონიტორინგის განხორციელების უზრუნველსაყოფად.
აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სკოლაში კვების ობიექტი ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“-ს დარღვევით. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა, დამატებითი არასავლდებულო მომსახურების ფარგლებში, მოსწავლეებს სთავაზობს კვების სერვისს. აღნიშნული ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. კვების სერვისით სარგებლობა არის ნებაყოფლობითი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ვინაიდან სკოლაში კვების ობიექტი ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“-ს დარღვევით. არსებობს მომეტებული რისკი უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დარღვევის.**ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. იჯარის ხელშეკრულება;
2. კვების ბლოკის მონიტორინგის მასალები;
3. ცნობა არასავალდებულო ხასიათის მომსახურების განხორციელების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

თარიღი: 28.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: